ბარრიკადებზე.

ჩვენი ლიტერატურული დებიუტი (რაჟდენ გვეტაძე,შალვა კარმელი) რამოდენიმე ხნის შემდეგ შეერთებულია „ცისფერ ყანწელების“ პოეტურ სახელთან. ჟურნალები „აისი“ „ლიგეია“ „მეოცნებე ნიამორები“ „შვილდოსანი“ და სხ.

ეს იყო მაშინ მზიანი ქუთაისი და კატაკომბებიდან გამოტანილი წირვები. პროვინციალ ქალაქის დაფეთება ახალი სიტყვის „სანახაობით“ და კეთილშობილ ფილისტერების **ფლაგიატური** პროტესტი. ეს იყო საქართველოს „ოთხივ კუთხივ“ ცეცხლიანი მოდება და ბანალურ ლიტერატურის აუტო დაფელაფორგის ფეერიული სობორო და ედგარ პოეს ზარები.

საქართველოს ცა დიდხანს შეინახავს იმ ესთეტიურ ღამეებს, რომელნიც თეთრდებოდენ ყავახანაში, ქუჩებში, წისქვილებში და ჩვენს სულში. ეს ცალკე მონოგრაფიის საგანია და საუკეთესო ზეპირი ფურცელი ქართულ ლიტრატურის ისტორიის. ამ ლიტურგიაში კათაკმეველთათვის „ცისფერი ყანწები“ იყო ის შხამიანი ბარძიმი, რომლითაც აპოკალიპსის მრუში დედოფალი წითელ მხეციდან – უკანასკნელად აზიარებს შარდით – განწირულ ხალხს.

ჩვენ ლოცვებში უკვე მოგვესმოდა შვიდი ანგელოსის საყვირთა გამწმენდელი ხმა, ამხედრებულ ცხენების ღრიალი და მობრუნებულ ბაბილონის ზანზარი.

აქ იყო ჰოფმანის სატანას ელექსირით ხეტიალი ყველა საუკუნის ნანგრევებში, ვიზიონერის ხილვა, ნათელი და უკანასკნელი ქალაქი, ათას სასტიკ და გატანჯულ მასკით გამოსვლა თავის თავიდან და სხვადყოფა: მზიურ ზეიმით და ორგიებით, მათხოვრის ცრემლით და ძვირფას ძონძებით, მეფედ და ბავშვად,ღმერთშემოსილად და წარმართად. გზა მეწამული ბიბლიურ კვერთხით.ორბიტიდან ამოვარდნილი პლანეტა ელექტროს სულით, დასალტული საშინელ ტეხნიკის კომბინაციებით და ათას ხალხთა მოდგმის ცოდვებით გაშავებული განკითხვის დღეს.

უკანასკნელი საზეიმო პროცესია და ბალდახინი. აქ თმაგაშლილი გაივლიან ერთად აპოკალიპსის ღვთაებრივი მეძავები და ედგარ პოეს ეთერული, პრტყელ მკერდა, სქეს მივიწყებული კაბალისტური ქალები. წმ. ვიტტის ცეკვით დაიწყება, სკრიაბინის მესა და ყველაზე უმძაფრეს რექვიემს იტყვის პოეზია.

მხოლოდ მცირედს ერგება შეხედვა სპეტაკ ცხენზე თეთრ მხედრის და ახალი იერუსალიმი. ქვეყნის ტკივილების გამწმენდელი პოეტები შევლიან ძვირფას ქვების სამუდამო ქალაქში, რადგან იცოდენ ქვეყანა წარმავალი ყოფნა ლანდური – მარადისი.

დღეს პოეზიაში მონნა ლიზას ღიმილის მაგიერ ხერხემლის ტვინ დაზიანებულ ქვეყნის სარდონიკული ღიმილია, ბოდლერის ბოროტ ყვავილების სინტაქსისის გაგებამ სხვა ცხუნე მიაზმები და სურნელება მისცა მკვდარ და სიფილისით დაჭმულ, ყნოსვის გალიუცინაციებით სავსე დეზესსენტის ეკზოტიურ ყვავილებს.

პოეზიის „წითელმა ხარმა“ აპისმა – უკვე მოძოვა რაგინდრაფერის ხავერდიანი, მწირი და ცვრიანი იალაღი. ის ახლა გახელებული რქებით ანგრევს თავის ტაძარს და ქვეყნის სიმძიმის მაგარ კისრით გამტანი – ტყდება წელში.

ლექსმა მათემატიკურად შეკრულმა და აღვირახსნილმა პროპელლერის ფრთებით გაუსწრო საუკუნეებს და სასიკვდილოთ იკივლა წინასწარმეტყველ პოეტის ბაგიდან. რჩეულთა ხელში ის დაიღუპება კომეტის კატასტროფით, განუმეორებლად, რადგან „ყველაზე ლამაზი არია ხდება ვულგალური და აუტანელი, როცა მას ყველანი ამღერებენ და ეუფლებიან არღნები (ჟ.კ. გიუსმანს)

„ცისფერი ყანწების“ რევოლიუცია ქართულ პოეზიაში დღეს უკვე ლიტერატურის ისტორიის გადასული ფაქტია. მაგრამ დღემდე გრძელდება ტახტიდან გადმორეკილ

„უგვირგვინო მეფეთა“ სულთმობრძავი ხრიალი. მათ არ მოელით ამნისტია. ისინი უნდა მოკვდენ სამარცხვინოდ.ფიზიკურ სიკვდილამდესაც მათ ჩვენგან გაჰყოფს „ბარრიკადა“,რომელიც არასოდეს არცერთი მხრიდან არ გატყდება.

„ცისფერ ყანწელებმა“ ამართეს საშინელი პოეზიის ცეცხლიანი კალიბანის სარკე და ბევრ ქართველ „პოეტმა“ვერ დაინახა თავისი ორეული შიგ. დღემდე ისინი თვალმოკვეთილი ტრიალებენ უგზოდ. ისინი ამ „საქანელადან“ უნდა მივიდენ „ სახრჩობელაზე“

„ცისფერ ყანწელებმა“ საქართველოში მოიტანეს ვილიე დელილ ადანის ინჟენერ ბოტომის „დიდების მანქანა“, რომლის ხმაურმა – კლაკამ დააფრთხო და გააბრაზა ფილისტერები. დღემდე მათ ლიტერატურულ დიეტას ვერ მოუნელებია ის „ყველაზე საუკეთესო სადილი ქვეყანაზე“, რომელიც ცისფერი ყანწებით გამართა პოეზიაში პოეტების ორდენმა. მით უმეტეს გაუგებარია მათთვის დეზ'ესსენტის ტრაურული სადილი. ბევრმა ნასუფრალი ამჯობინა სიმშილით სიკვდილს და ოდნავ მოსურიელებულნი უვნებოთ ჭირვეულობენ.

ყოველ შემთხვევაში ეს ხალხი ვერაფერს ვერ მოიგებს ჩვენგან, რადგან გადამეტებული იქნება რომ მათ ტრისტან კორბიერივით „4 სექტემბრის მეიარმუკენი“ უწოდო.

ჩვენ მათ ყოველთვის დავხვდებით „ბარრიკადებზე“

შალვა კარმელი